

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N55

2024 წელი; 24 მაისი; 11:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

არჩილ გორდულაძე (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

ანა კილაძე

ავთანდილ ცინცაძე

აკაკი ალადაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე


მოწვეული პირები:

1. დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
4. მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. თამარ ბერუაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე:


არჩილ გორდულაძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე




დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429.01.555) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისში, თ. ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანი) კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.001.004.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
10. „ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N21-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.014.049.01.01.043); ქ. თბილისში, ოსიპ მანდელშტამის ქ. N2გ-ში მდებარე N148 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.155.01.01.148) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N123 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.123) პირდაპირი




განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

11. „ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N305 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.305), ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N31 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.11.037.115.01.01.031), ქ. თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N1ა ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.13.002.448.01.01.001ა) და ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N59 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.059) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N66 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.066) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N328 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.328) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
13. „ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.015) და ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრადის ქ. N34-ში მდებარე N74 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.36.015.031.01.01.074) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N27 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.027) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.12.003.170.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N508 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.508); ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N12 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.012) და ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N9 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.02.020.019.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N39 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.039); ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.11.037.115.01.01.064) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე ბინა N77 (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.012.158.01.01.077) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.019) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N335 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.335) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N30 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.07.024.079.01.01.030) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N325 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.002.306.01.07.325) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე N33 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.06.006.217.01.01.033) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N179



- ბინის (მშენებარე) (ს/ვ: N01.17.12.003.170.01.01.179) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N77 და N121 ბინების (მშენებარე) (ს/ვ: N01.12.12.001.414.01.01.077; N01.12.12.001.414.01.01.121) და ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N29 ბინის (მშენებარე) (ს/ვ: N01.10.10.020.214.01.01.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
25. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.11.009.023, ნაკვეთი N009/023) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ფალიაშვილის 11“-ის (ს/ნ 404646111) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
26. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მ/რ, კორპუსი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.018.006, ფართობი - 1 953 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
27. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქალაქი თბილისი, ვ. ივერიელის (საბადურის) ქ. N25ა; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.034.046, ფართობი - 2 348 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**



28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა N75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი N14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, შესახვევი, N14; ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 და N3 სახლების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.002.052, ფართობი - 7 149 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-14 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.617, ფართობი - 5 000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რამაზ შენგელიას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448, ფართობი - 1 444 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რევაზ ურიდიას ქუჩა N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.12.12.034.005, ფართობი - 789 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, №4; მარშალ გელოვანის გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.465, ფართობი - 3 938 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
33. „მისამართზე - ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N31 (საკადასტრო კოდი: 01.14.14.012.043) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „დომუსის ხეების“ (ს/ნ 405127937) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
34. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/ვ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N4 (ს/ვ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/ვ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**



სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. დავით ჯაიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

დავით ჯაიანის განმარტებით, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

როგორც მომხსენებელმა დასძინა, აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით განისაზღვრა შემდეგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზირზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, გიორგი ცაბაძისა და მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე და ანზორ აბულაშვილის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, შეიქმნა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსების (M2 კატეგორია) №422,433,442,445,458,469,526,527,538 მარშრუტებში კორექტივების შეტანის საჭიროება, კერძოდ: აღნიშნულ მარშრუტებს შეეცვალათ მგზავრთა მომსახურებისთვის განკუთვნილი ტერიტორიები და ზოგიერთს განესაზღვრათ ბოლო გაჩერების მისამართი, კერძოდ: №458,469,538 მარშრუტებს ბოლო გაჩერების ტერიტორიად განესაზღვრათ - ანზორ აბულაშვილის ქ. №15-ის პირდაპირ (მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი)) არსებული ტერიტორია, ნაცვლად - "მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი) (ტრანსპორტის ქ. №1-ის მიმდებარედ)" ტერიტორიისა; ხოლო, №422,433,442,445,526,527 მარშრუტებს მგზავრთა მომსახურებისთვის განესაზღვრათ მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი), აკაკი წერეთლის გამზირი №133"ა"-ს მიმდებარედ არსებული ტერიტორია, ნაცვლად - "მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი) (ტრანსპორტის ქ. №1-ის მიმდებარედ)" არსებული ტერიტორიისა; ასევე, აღნიშნული მარშრუტები მ/ს "დიდუბის" (ქვედა გასასვლელი) მიმართულებით გადაადგილებისას, მოძრაობას ახორციელებენ ანზორ აბულაშვილის ქუჩაზე.



- დამატებით კორექტირება შევიდა ასევე №538 მარშრუტის მოძრაობაში, სადაც აკაკი წერეთლის გამზირზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, შეიცვალა მოძრაობის ორგანიზება და შეიზღუდა რაჟდენ გვეტამის ქუჩისკენ მარცხენა მოხვევა; შესაბამისად, მარშრუტი მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩიდან რაფიელ აგლაძის ქუჩის მიმართულებით გადაადგილებას ახორციელებს გიორგი ცაბაძის, დავით ყიფიანის და ქუთაისის ქუჩების გავლით, ნაცვლად: აკაკი წერეთლის გამზირიდან რაჟდენ გვეტამის ქუჩაზე მარცხენა მოხვევისა. გამომდინარე აღნიშნულიდან, ცვლილებები შევიდა, როგორც დანართი 1-ში, ასევე დანართი 2-სა და დანართი 3-ში.

მოხსენების მიწურულს, დავით ჯაიანმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავდა წარმოდგენილი პროექტი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე წარსადგენად და აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების დღე, ამასთანავე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:


2. დავით ჯაიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც დავით ჯაიანმა განმარტა, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მასთან ერთად მარშრუტების მოძრაობაში გარკვეული კორექტივების განხორციელება.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ზემოხსენებული დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებაზე**, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, **განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.**

დავით ჯაიანის მითითებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით განისაზღვრა შემდეგი:


- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ნანეიშვილის და ილია ვეკუას ქუჩების კვეთაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე (მოეწყო შუქნიშნის ობიექტი) შეიქმნა შესაძლებლობა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში



ჩართულ ავტობუსის (M3 კატეგორია) №297 მარშრუტს, ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩიდან მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმართულებით მოძრაობა გაეგრძელებინა ილია ვეკუას ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“), ნაცვლად: „ვლადიმერ ნანეიშვილის ქ. - ილია ვეკუას ქ. - ომარ ხიზანიშვილის ქ. (გადასვლა გლდანის III მ/რაიონი, კორპუსი №68 "ბ"-ს მოპირდაპირედ) - ილია ვეკუას ქ. (გადასვლა ომარ ხიზანიშვილის ქ. №17-ის მიმდებარე ტერიტორიიდან)“ აღნიშნულისა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზირზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, გიორგი ცაბაძისა და მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე და ანზორ აბუაშვილის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, შეიქმნა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსების (M3 კატეგორია) № 299,338,357,367,381,389 მარშრუტებში კორექტივების შეტანის საჭიროება, კერძოდ: №299,338,357,367,389 მარშრუტებს შეეცვალათ ბოლო გაჩერების და მგზავრთა მომსახურების ტერიტორიები და განისაზღვრა: მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი)(აკაკი წერეთლის გამზირი №133"ა"-ს მიმდებარედ), ნაცვლად - "მ/ს "დიდუბე" (ქვედა გასასვლელი)(ტრანსპორტის ქ. №1-ის მიმდებარედ)"; ასევე, გრიგოლ რობაქიძის გამზირიდან მ/ს "დიდუბის" (ქვედა გასასვლელი) მიმართულებით მოძრაობისას, ბოლო გაჩერებაზე მისასვლელად მოძრაობას ახორციელებენ ანზორ აბუაშვილის ქუჩაზე. კორექტირება შევიდა ასევე №381 მარშრუტში, სადაც მის ბოლო გაჩერებად განისაზღვრა თბილისი ცენტრალის მოპირდაპირედ არსებული ტერიტორია, ნაცვლად - "აკაკი წერეთლის გამზირი №2-ის მიმდებარედ (ზორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი)".

დავით ჯაიანმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებისა და უზრუნველყოფის მიზნით, ახალი სატრანსპორტო სქემის ფარგლებში, ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე შემუშავებულია 10 (ათი) დერეფანი, სადაც უნდა იმოძრაოს 18 მეტრიანმა ავტობუსებმა და განხორციელდეს მგზავრთნაკადის ძირითადი მიმართულებების დაფარვა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, პირველ ეტაპზე შემოყვანილ იქნა 50 (ორმოცდაათი) ერთეული შესახსრებელი (18 მეტრი სიგრძის) ავტობუსი, რომელთა მგზავრთა ტევადობა შეადგენს 162 (ას სამოცდაორი) ერთეულს. აღნიშნული ავტობუსები გადანაწილდა 4 (ოთხი) მარშრუტზე, სადაც მომატებული იყო მგზავრთნაკადი და ამასთან ერთად წარმოადგენდა ახალი სატრანსპორტო სქემის ფარგლებში წინასწარ შემუშავებულ 10 (ათი) დერეფანში შემავალ მარშრუტს. გამომდინარე აღნიშნულიდან სატრანსპორტო საშუალებები გადანაწილდა ავტობუსების (M3 კატეგორია) №301,302,308,314 მარშრუტებზე და მათი ჩანაცვლებები მარშრუტებზე განხორციელდა ეტაპობრივად, კერძოდ: №301 მარშრუტზე მოძრაობდა 16 (თექვსმეტი) ერთეული 12 მეტრიანი ავტობუსი, ჩანაცვლდა 15 (თხუთმეტი) ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსით; №302 მარშრუტზე მოძრაობდა 9 (ცხრა) ერთეული 12 მეტრიანი ავტობუსი, ჩანაცვლდა 9 (ცხრა) ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსით; №308 მარშრუტზე მოძრაობდა 9 (ცხრა) ერთეული 12 მეტრიანი ავტობუსი, ჩანაცვლდა 9 (ცხრა) ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსით; №314 მარშრუტზე მოძრაობდა 11 (თერთმეტი) ერთეული 12 მეტრიანი ავტობუსი, ჩანაცვლდა 10 (ათი) ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსით; ამასთან აღსანიშნავია, რომ №308 მარშრუტს, რომელიც შოთა რუსთაველის გამზირის მიმართულებით მოძრაობისას გადიოდა კოტე მარჯანიშვილის ქუჩას, 18 მეტრიანი ავტობუსით ჩანაცვლების შემდეგ მარშრუტი შოთა რუსთაველის გამზირს უკავშირდება გმირთა მოედნის, ვაზისხევის ქუჩის, პეტრე მელიქიშვილის გამზირის და მერაბ კოსტავას ქუჩის გავლით (მარშრუტის ცვლილება გამოწვეული იყო იმით, რომ დავით აღმაშენებლის გამზირიდან კოტე მარჯანიშვილის ქუჩის მიმართულებით მოხვევა არ იყო უსაფრთხო, რაც ასევე ასახულია).



- 18 მეტრიანი ავტობუსების გადანაწილების შემდეგ, მარშრუტებიდან გამონთავისუფლებული სატრანსპორტო საშუალებები გადანაწილდა იმ მარშრუტებზე, სადაც გამოკვეთილი იყო მგზავრთნაკადის მატება, გარდა აღნიშნულისა განხორციელდა ჩანაცვლებებიც;

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილებები განხორციელდა 24 სხვადასხვა მარშრუტზე, შესაბამისად, აღნიშნულ მარშრუტებზე შეიცვალა მოძრავი შემადგენლობების რაოდენობები, როგორც სამუშაო დღეს, ასევე შაბათ-კვირას და უქმე დღეებში; ცვლილებები განხორციელდა მათ სამუშაო განრიგებშიც.

გარდა ამისა, ცვლილებები შევიდა დანართი 1-ში მითითებულ №317,325,338,373 მარშრუტებზე, სადაც მათი მუშაობისთვის განსაზღვრული იყო, როგორც საშუალო ტევადობის, ასევე დიდი ტევადობის სატრანსპორტო საშუალებებით მუშაობის პერიოდში საჭირო რაოდენობები, ამოღებულ იქნა საშუალო ტევადობის პერიოდში საჭირო მონაცემების ინფორმაცია და დარჩა დიდი ტევადობის ავტობუსებით მუშაობის პერიოდში განსაზღვრული რაოდენობები. ანალოგიური ცვლილება გატარდა №392,393 მარშრუტებზე, სადაც ამოღებულ იქნა დიდი ტევადობის პერიოდში საჭირო რაოდენობების ინფორმაცია და დარჩა საშუალო ტევადობის ავტობუსებით მუშაობის პერიოდში განსაზღვრული რაოდენობები. ცვლილებები შევიდა ასევე, დანართი 1-სა და დანართი 2-ში მითითებულ ავტობუსების (M3 კატეგორია) №301,302,308,314 მარშრუტებზე მითითებულ “ავტობუსები”-ს ტევადობების დასახელებაში, კერძოდ: იმის გათვალისწინებით, რომ მარშრუტზე ჩართული იქნა 18 მეტრის სიგრძის ავტობუსები, დიდი ტევადობის ნაცვლად ჩაიწერა შესახსრებული.

მომხსენების მიწურულს, დავით ჯაიანმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა მ/წლის 15 მაისის N 24.809.915 განკარგულებით, რაც დასამტკიცებლად წარმოედგინა საკრებულოს და **აქვე დასძინა,** რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების დღე, ამასთანავე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. დავით ჯაიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული,** „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკითხის წარდგენა იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების აღნიშვნით დაიწყო, რომლებმაც განაპირობეს წინამდებარე დადგენილების პროექტის შემუშავება, კერძოდ:



- 2024 წლის 20 იანვარს, პირველ, 7 და 13 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილ იქნა შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ წარმომადგენლის ნანა კასრამის განცხადებები, რომელთა მიხედვითაც დგინდება, რომ შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი“ არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს **670 მოსწავლის** სპეციალურ რეგულარულ გადაყვანას და ითხოვს მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცებას;


როგორც დავით ჯაიანმა განმარტა, მოსწავლეთა მომსახურების, კომფორტული და უსაფრთხო სამგზავრო გადაყვანის მიზნით საჭიროა განხორციელდეს მათი სპეციალური რეგულარული გადაყვანა, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ M3 კატეგორიის არაუმეტეს **20 ერთეული** ავტობუსით, თანდართული მარშრუტებით.

მომხსენებლისვე მითითებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განცხადებებით წარმოდგენილია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული ავტორიზაციის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადასაცემი მოსწავლეების რაოდენობა; ავტობუსების სარეგისტრაციო მოწმობები; ავტობუსების მძღოლების მონაცემები, მათ შორის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობები; სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტები ქუჩების/გამზირების მითითებით, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE“) ავტობუსების გადაადგილების მითითებით; ავტობუსების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობები; ავტობუსების ვიზუალური მდგომარეობის ამსახველი ფოტოები;

როგორც დავით ჯაიანმა აღნიშნა:

- 2024 წლის 9 იანვარს, 26 იანვარს, 12 თებერვალს და 19 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილ იქნა შპს „ავერსი ფარმა“-ს გენერალური დირექტორის გიორგი მელანაშვილის განცხადებები, რომელთა მიხედვითაც დგინდება, რომ შპს „ავერსი ფარმა“ ახორციელებს ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტთან, შესყიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას. კომპანია ზემოაღნიშნული საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს დასაქმებული პირების გადაყვანას M2 და M3 კატეგორიის **6 (ექვსი) ერთეული ავტობუსით**, თანდართული მარშრუტით;
- 2024 წლის 9 იანვარს, 23 იანვარს და 8 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი განცხადებებით მიმართა ასევე სს „ლილო 1“-ის დირექტორმა დავით ბეგიაშვილმა, რომელთა მიხედვითაც დგინდება, რომ სს „ლილო 1“ ახორციელებს დასაქმებულთა გადაყვანას, რომელთა რაოდენობა შეადგენს **32 (ოცდათორმეტი) ადამიანს** და კომპანიას დასაქმებულები გადაყავს M2 კატეგორიის **2 (ორი) ერთეული ავტობუსით**, თანდართული მარშრუტით.

მომხსენებლის განმარტებით, ორივე დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.



მოსხენების მიწურულს, დავით ჯაიანმა შეჯამების სახით დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის №24.772.867 განკარგულების პირველი პუნქტით, დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) მარშრუტები, სათანადო დანართების შესაბამისად, ხოლო მე-2 პუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინა 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გადაწყვეტის:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 22 მაისის N24.841.958 განკარგულებით და ითვალისწინებს ცვლილებების განხორციელებას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილების დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესში“ (დანართი N1) (შემდგომში - „წესი“).

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ცვლილების ფარგლებში, წესის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს, „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება „რ“ ქვეპუნქტი, რომელიც განმარტავს „ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი“-ს დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამ პირისგან, რომლის შემადგენლობაშიც შესაძლოა შედიოდეს მამასახლისი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი. „ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი“-ს შემადგენლობა მტკიცდება ა(ა)იპ-ის დირექტორის ბრძანებით და მის მოვალეობას მიეკუთვნება „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ მართვაში არსებული სოციალური საცხოვრისის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების ცხოვრების ფაქტის დადასტურება.

როგორც თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა, ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი“-ს მიერ, სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები, უსახლკარო ოჯახის სტატუსის მქონე ოჯახის ცხოვრების ფაქტის დადასტურების პროცედურის, ასევე, საცხოვრისში ოჯახის არცხოვრების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრის



მიზნით, მე-8 მუხლს მე-16 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი 16¹, 16² და 16³ პუნქტები, რომლებიც იკითხება შემდეგნაირად:

- **16¹.** ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი, საცხოვრისში მცხოვრები ოჯახების გადამოწმებისა და მათი ცხოვრების ფაქტის დადასტურების მიზნით, ახორციელებს ვიზიტს საცხოვრისში არანაკლებ ყოველი 45 კალენდარული დღის განმავლობაში.
- **16².** ა(ა)იპ-ის ფარგლებში დაკომპლექტებული გუნდი, მინიმუმ 3 (სამი) თვის განმავლობაში საცხოვრისში ოჯახის არცხოვრების ფაქტის (ცხოვრების ფაქტის დადასტურებად არ განიხილება ოჯახის წევრთა მიერ საცხოვრისში ერთჯერადი ვიზიტები ან მათი მხრიდან საცხოვრისის გამოყენება ნივთების განთავსება/შენახვის მიზნით, გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როცა განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით დასტურდება ოჯახის წევრთა მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით.) დადასტურების შესახებ ინფორმაციას, ოქმისა და ვიდეოჩანაწერის სახით, აწვდის სამსახურს, რომლის საფუძველზეც მზადდება მთავრობის განკარგულება უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- **16³.** უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახსა და ა(ა)იპ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სამსახური გამოსცემს ბრძანებას, ოჯახის უსახლკაროს სტატუსის გაუქმების შესახებ.

მომხსენებლის მითითებით, გარდა ზემოხსენებული ცვლილებებისა, დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს, დადგენილების მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“ (დანართი N2) და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“ (დანართი N3) ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მომხსენების დასასრულს, შეჯამების სახით, თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების დღე და აქვე დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ, დადგენილების მოქმედ რედაქციაში შემდგომში ასახვის მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის პირველი მუხლის ა.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული, მე-8 მუხლში დასამატებელი მე-16² მუხლით გათვალისწინებული უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახის მიერ, მინიმუმ 3 (სამი) თვის განმავლობაში არცხოვრების ფაქტი დაზუსტდეს, როგორც აღნიშნული სტატუსის მქონე ოჯახის მიერ, **განგრძობადად, უწყვეტად 3 (სამი) თვის განმავლობაში** არცხოვრების ფაქტი და პროექტის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სახით განსაზღვრულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმა“ დანართი N3-ში განმცხადებლის უფლებების ნაწილში მიეთითოს „**პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი,** რომელიც არეგულირებს არასრულწლოვნის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესსა და პირობებს; აგრეთვე არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის პირველი მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის პრეამბულაში მითითებული „მე-2 მუხლის პირველი



პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის ნაცვლად „ჟ“ ქვეპუნქტის მითითებისა და პროექტის პირველი მუხლის ა.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მე-8 მუხლში დასამატებელი მე-16 მუხლში, სიტყვა „უსახლკაროს“ ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების** - ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მესამე მასივში არსებული ფართების (ჯამურად - 187.54 კვ.მ) თვითნებურად მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:**

- **ნელი თათაშვილს გადაეცემა 57.44 კვ.მ ფართი; ნინო ჯულაყიძეს გადაეცემა 2.5 კვ.მ და 48.74 კვ.მ ფართები; მთვარისა თათარაშვილს გადაეცემა 47.88 კვ.მ და 30.98 კვ.მ ფართები.**

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, აღნიშნულმა მოქალაქეებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები **დაახლოებით 10 წელია** ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ნინო ჯულაყიძის, ნელი თათაშვილისა და მათი ოჯახების წევრების სახელებზე **საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის**. მთვარისა თათარაშვილს და მის ოჯახის წევრებს: საკუთრებაში ერიცხებოდათ უძრავი ქონება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ებნისში; თუმცა, საჯარო რეესტრის 2022 წლის წერილებზე დაყრდნობით, **მთვარისა თათარაშვილისა და მისი ოჯახის წევრების (ნინა თათარაშვილის გარდა) სახელებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის**.

შეჯამების სახით, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:



არჩილ გორდულაძემ ყურადღება გაამახვილა განკარგულების პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე; **აგრეთვე არჩილ გორდულაძემ ისაუბრა** პროექტის პირველ პუნქტში, მთავრობის განკარგულების სათაურის ნაწილში ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორებისა და გადასაცემი ფართების შესაბამისი რედაქციით მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუსი N1-ში მეოთხე სართულზე არსებული 23.86 კვ.მ ფართის თვითნებურად მცხოვრები, კახაბერ გაბრიჭიძისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:


- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე **15 წელია** ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებიდან ირკვევა, რომ კახაბერ გაბრიჭიძეზე და მისი ოჯახის წევრებზე **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.**

შეჯამების სახით, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებისა და განკარგულების პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. თბილისში, თ. ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანი) კორპუს N1-ში, პირველ სართულზე მდებარე 103.05 კვ.მ ფართის თვითნებურად მცხოვრები, დევნილის სტატუსის არქმონე, ნათია ლანჩავასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოხსენებულმა დაინტერესებულმა პირმა მის მიერ თვითნებურად დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქე **2001 წლიდან დღემდე** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილებიდან ირკვევა, რომ ნათია ლანჩავასა და მისი ოჯახის წევრებზე **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.


აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



8. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 207.45 კვ.მ) თვითნებურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ივანე ქიმაძეს გადაეცემა 30.49 კვ.მ ფართი; იური მაჭარაშვილს გადაეცემა 17.39 კვ.მ ფართი; გოდერძი მაისაშვილს გადაეცემა 54.09 კვ.მ ფართი; ნანი მიშველაძეს გადაეცემა 52.37 კვ.მ ფართი და ხათუნა დვალს 53.11 კვ.მ ფართი.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირებმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები 1993-1994 წლებიდან დღემდე ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

გადაწყვეტის:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 93.05 კვ.მ) თვითნებურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- მზია ნაციშვილს გადაეცემა 46.68 კვ.მ და 11.17 კვ.მ ფართები და თეონა მაჭარაშვილს 35.2 კვ.მ ფართი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნულმა მოქალაქეებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს სამგორის



რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები **1994 წლიდან** ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე; ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

გადაწყვეტის:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეების - მაია ჩაკვეტაძის, ნათელა ძამანაშვილის, რუსუდან ჩაკვეტაძისა და სოფიო ჩაკვეტაძისთვის ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N21-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე); ქ. თბილისში, ოსიპ მანდელშტამის ქ. N2გ-ში მდებარე N148 ბინის (მშენებარე) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N123 ბინის (მშენებარე) თანასაკუთრებაში, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე დაუსრულებელი მშენებლობა წლების მანძილზე მოუგვარებელ პრობლემად გარდაიქმნა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის, აღნიშნულ მისამართზე გათვალისწინებული იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, კომპანია შპს „ამირანი“-ს მიერ, თუმცა, სამშენებლო პროცესების გაჭიანურების გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში, ხოლო, დღეისათვის ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანი“ საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

მომხსენებლისვე მითითებით, დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, სასურველი იყო აღნიშნული მშენებლობის დასრულება, თუმცა, **მიმდებარე ტერიტორიის ინტენსიური/მჭიდრო განაშენიანების გათვალისწინებით, საპროექტო ობიექტი ჩაითვალა არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად;** აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც მისაღებია მათთვის შეთავაზებული ალტერნატიული ფართები, გადაეცემა სანაცვლოდ სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონება. აღნიშნული პირები წარმოადგენენ იმ მესაკუთრეებს რომლებსაც, ამ სამშენებლო ობიექტში ფართები საკუთრებაში რეგისტრირებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. ასევე, ის პირები, ვისაც, რაიმე გარიგებით და სხვა სამართლებრივ საფუძველზე აქვთ საკუთრებაში მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ზემოხსენებული



გადაწყვეტილებების საფუძველზე ფიზიკურ პირთა საკუთრებად დარეგისტრირებული ასეთი ფართები. ამასთანავე, სანაცვლო ფართები გადაეცემათ ყიფშიძის ქ. N5ბ-ში არსებულ ფართების მიღებასთან დაკავშირებით ამ ფართების მიმღებ პირთა მხრიდან რაიმე შესასრულებელი ვალდებულებების მიუხედავად, ასეთი ვალდებულებების შესრულების გარეშე (ასეთი ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში).


როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ზემოხსენებულმა მოქალაქეებმა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის სახელზე წარდგენილი განცხადების მიხედვით, განაცხადეს თანხმობა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული ფართების მიღებაზე და სანაცვლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკში მე-7 სართულზე მდებარე 122 კვ.მ ფართობის N37 ბინის გადაცემაზე.

მომხსენებლის განმარტებით, საკითხის განხილვისას, მხედველობაში მიღებულია დაინტერესებული პირის მიერ რეგისტრირებული და მის სანაცვლოდ გადასაცემი ფართების საბაზრო ღირებულებები, ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება; ამ პრინციპის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით;** შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის 122 კვ.მ ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **476 166 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით.** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც განიხილება აღნიშნულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად, შემდეგი სახით:

- ფარნავაზ მეფის გამზ. N21-ში მდებარე N43 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **204 128 (ორას ოთხი ათას ას ოცდარვა) ლარის ოდენობით;** ოსიპ მანდელშტამის ქ. N2გ-ში მდებარე N148 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **184 397 (ას ოთხმოცდაოთხი ათას სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით** და მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N123 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **87 523 (ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთას ოცდასამი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 476 048 ლარი).**

მომხსენების დასკვნით ნაწილში, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემომოთხრობული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქეების - მაია ჩაკვეტაძის, ნათელა ძამანაშვილის, რუსუდან ჩაკვეტაძისა და სოფიო ჩაკვეტაძისთვის თანასაკუთრებაში გადაცემა, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

- ზემოაღნიშნული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენთა მხრიდან ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკში მე-7 სართულზე მდებარე 122 კვ.მ ფართობის N37 ბინაზე უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა და აღნიშნული უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ დათმობა.
- ქონების შემძენთა მიერ ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკში მე-7 სართულზე მდებარე 122 კვ.მ ფართობის N37 ბინაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო



მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც **სამართლებრივი თვალსაზრისით ითვალისწინებს, დღის წესრიგის მე-10 საკითხის იდენტურ ღონისძიებას, შემდეგი სახით:**

- **განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ოთხი უძრავი ქონება, კერძოდ: ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N305 ბინა (მშენებარე) - 72.41 კვ.მ ფართით; ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N31 ბინა (მშენებარე) - 37.60 კვ.მ ფართით; ქ. თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N1ა ბინა (მშენებარე) - 71.49 კვ.მ ფართით და ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N59 ბინა (მშენებარე) - 58.90 კვ.მ ფართით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემა** მოქალაქე ლალი დარსაველიძეს, საკითხი შესათანხმებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და ითვალისწინებს შემდეგ საპრივატიზებო პირობებს:**
- **ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემქმნის მხრიდან ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, I ბლოკი, სადარბაზო 1, მე-3 სართულზე მდებარე 139.20 კვ.მ ფართობის N7 ბინაზე საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა, აღნიშნული უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ დათმობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, დაინტერესებულმა პირმა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის სახელზე წარდგენილი განცხადების მიხედვით, თანხმობა განაცხადა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული ფართების მიღებაზე და სანაცვლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, მის საკუთრებაში არსებული ზემოხსენებული უძრავი ქონების გადაცემაზე.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **3903 ლარის ოდენობით,** ხოლო მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი **ფართის 139.20 კვ.მ ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 543 297,6** (ხუთას ორმოცდასამი ათას ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცი თეთრი) **ლარის ოდენობით.** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023



წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც განიხილება აღნიშნული პირისთვის სანაცვლოდ გადასაცემად, შემდეგი სახით:

- ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N305 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **154 957** (ას ორმოცდაათოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი) **ლარის ოდენობით**; ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N31 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **107 950** (ას შვიდი ათას ცხრაას ორმოცდაათი) **ლარის ოდენობით**; რამაზ შენგელიას ქ. N3-ში მდებარე N1ა ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **158 636** (ას ორმოცდათვრამეტი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი) **ლარის ოდენობით** და ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N59 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **119 920** (ას ცხრაამეტი ათას ცხრაას ოცი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 541 463 ლარი).**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოხსენის:

12. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ითვალისწინებს, დღის წესრიგის მე-10-11 საკითხების იდენტურ ღონისძიებებს, შემდეგი სახით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე 51.6 კვ.მ ფართის N66 ბინა (მშენებარე) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე 184.38 კვ.მ ფართით N328 ბინა (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით, თანასაკუთრებაში გადაეცემა მოქალაქეებს - კონსტანტინე კემულარიას, ნონა კემულარიას, შალვა კემულარიას, ირაკლი კემულარიას და ანანო კემულარიას, საპრივატიზებო საფასურით - **7180** (შვიდი ათას ასოთხმოცი) **ლარის ოდენობით.**

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ზემოხსენებულმა დაინტერესებულმა პირებმა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის სახელზე წარდგენილი განცხადების მიხედვით, თანხმობა განაცხადეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული ფართების მიღებაზე და სანაცვლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკი, მე-4 სართულზე მდებარე 139.2 კვ.მ ფართობის N31 ბინის გადაცემაზე.

ამასთანავე, მომხსენებელმა მიუთითა, რომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები



შეფასებულიყო ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება და ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით**; შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის **139.2 კვ.მ ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 543 297,6** (ხუთას ორმოცდასამი ათას ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცი თეთრი) **ლარის ოდენობით**.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, **2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით**, შეფასდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართებიც; კერძოდ, 51.6 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **175 079** (ას სამოცდათხუთმეტი ათას სამოცდაცხრამეტი) **ლარის ოდენობით** და 184.38 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **375 398** (სამას სამოცდათხუთმეტი ათას სამას ოთხმოცდათვრამეტი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 550 477 ლარი)**.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 7180 (შვიდი ათას ას ოთხმოცი) ლარის ოდენობით, მოქალაქეების - კონსტანტინე კემულარიას, ნონა კემულარიას, შალვა კემულარიას, ირაკლი კემულარიას და ანანო კემულარიასთვის თანასაკუთრებაში გადაცემა, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:


- ზემოაღნიშნული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემქმნელ მხრიდან ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკი, მე-4 სართულზე მდებარე 139.2 კვ.მ ფართობის N31 ბინაზე საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა, აღნიშნული უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ დათმობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც **სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-12 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:**



- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე 51.60 კვ.მ ფართობის N15 ბინის (მშენებარე) და ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრამის ქ. N34-ში მდებარე 43.44 კვ.მ ფართობის N74 ბინის (მშენებარე) მოქალაქე რუსუდან მელაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზება, **იმ პირობით, რომ აღნიშნული პირი, მითითებული ფართების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმობს საკუთრების უფლებას მის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში რეგისტრირებულ 69.40 კვ.მ ფართზე და უზრუნველყოფს აღნიშნული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციას საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**


ირაკლი თავართქილაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდა ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, შემდეგი სახით:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ. მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით;** შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი 69.40 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **270 868.2** (ორას სამოცდაათი ათას რვაას სამოცდარვა ლარი და ოცი თეთრი) **ლარის ოდენობით.**
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით,** შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება და ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N15 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - **175 079** (ას სამოცდათხუთმეტი ათას სამოცდაცხრამეტი) **ლარის ოდენობით** და ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრამის ქ. N34-ში მდებარე N74 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - **95 264** (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ორას სამოცდაოთხი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 270 343 ლარი).**

მოხსენების დასკვნით ნაწილში, **ირაკლი თავართქილაძემ დასძინა,** რომ მოქალაქე რუსუდან მელაძემ თანხმობა განაცხადა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული ზემოაღნიშნული ფართების მიღებაზე, მის საკუთრებაში არსებული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, ხოლო ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



მოხსენიება:


14. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-13 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 57.70 კვ.მ ფართობის N27 ბინის (მშენებარე) და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე 48.60 კვ.მ ფართობის N143 ბინის (მშენებარე) მოქალაქე თენგიზ გიორგაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემა, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:
- ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, თენგიზ გიორგაძის მიერ ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკი, მე-5 სართულზე მდებარე 69.40 კვ.მ ფართობის N53 ბინაზე საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა, აღნიშნული უფლების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობა და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრაციის უზრუნველყოფა, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ზემოხსენებულმა დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მის საკუთრებად რეგისტრირებული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.

ამასთანავე, მომხსენებელმა მიუთითა, რომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასებულიყო ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება და ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით; შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი, 69.40 კვ.მ ფართობის ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 270 868.2 (ორას სამოცდაათი ათას რვაას სამოცდარვა ლარი და ოცი თეთრი) ლარის ოდენობით;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება და ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 57.70 კვ.მ ფართობის N27 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 173 215 (ას



სამოცდაცამეტი ათას ორას თხუთმეტი) **ლარის ოდენობით** და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე 48.60 კვ.მ ფართობის N143 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **95 159** (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ას ორმოცდაცხრამეტი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 268 374 ლარი).**

მოხსენების დასკვნით ნაწილში, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-14 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე 64.60 კვ.მ. ფართობის N508 ბინა (მშენებარე); ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8, ბლოკი „ბ“-ში მდებარე 59.30 კვ.მ. ფართობის N12 ბინა (მშენებარე) და ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე 56 კვ.მ. ფართობის N9 ბინა (მშენებარე) **პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით თანასაკუთრებაში გადაეცემა** მოქალაქეებს - თინათინ ფიჩხაიას, ნინო სალიბეგაშვილს და რიმა სალიბეგაშვილს, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად.**

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს და მათ საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 105 კვ.მ. ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ზემოხსენებული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემა. ამასთანავე, აღნიშნული განცხადების მიხედვით, ზემოხსენებულ დაინტერესებულ პირებს არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულებასა და მათთვის გადასაცემი ფართების საბაზრო ღირებულებასთან ან მათ შორის სხვაობასთან დაკავშირებით.



მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდა ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, შემდეგი სახით:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით**; შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი, 105 კვ.მ. ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **409 815** (ოთხას ცხრა ათას რვაას თხუთმეტი) **ლარის ოდენობით**;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით**, შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება და ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე 64.60 კვ.მ. ფართობის N508 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **138 244** (ას ოცდათვრამეტი ათას ორას ოთხმოცდაოთხი) **ლარის ოდენობით**; ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8, ბლოკი „ბ“-ში მდებარე 59.30 კვ.მ. ფართობის N12 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **139 296** (ას ოცდაცხრამეტი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) **ლარის ოდენობით** და ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე 56 კვ.მ. ფართობის N9 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **131 544** (ას ოცდათერთმეტი ათას ხუთას ორმოცდაოთხი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 409 084 ლარი)**.

მომხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ზემომხსენებულ დაინტერესებულ პირთათვის ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად თანასაკუთრებაში გადაცემა, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:


- ზემოაღნიშნული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემქმნელ მხრიდან ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, I ბლოკში მე-5 სართულზე მდებარე 105 კვ.მ. ფართობის N12 ბინაზე (ს/კ: N01.14.14.003.143.02.012) საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა, აღნიშნული უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით




მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-15 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე 58.90 კვ.მ ფართობის N39 ბინის (მშენებარე); ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე 37.70 კვ.მ ფართობის N64 ბინის (მშენებარე) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე 75.30 კვ.მ ფართობის N77 ბინის (მშენებარე) მოქალაქე მერაბ თევზაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემა, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:
- ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, მერაბ თევზაძის მხრიდან ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკში მე-6 სართულზე მდებარე 105 კვ.მ. ფართობის N36 ბინაზე (მშენებარე) (ს/კ: N01.14.14.003.143.01.036) საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა, აღნიშნული უფლებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, მერაბ თევზაძემ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი 105 კვ.მ ფართობის N36 ბინის დანარჩენ თანამესაკუთრებთან ერთად წერილობითი განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მათ საკუთრებად რეგისტრირებული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემა. ამასთანავე, აღნიშნული განცხადების მიხედვით, ზემოხსენებულ დაინტერესებულ პირებს არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულებასა და მათთვის გადასაცემი ფართების საბაზრო ღირებულებასთან ან მათ შორის სხვაობასთან დაკავშირებით. **აღნიშნულთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ** მოგვიანებით, უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე, ზემოხსენებული უძრავი ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე მერაბ თევზაძე გახდა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა მერაბ თევზაძეს.

ამასთანავე, **ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა,** რომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასებულიყო ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება და ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით;** შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი, 105 კვ.მ. ფართის საბაზრო



ღირებულება განისაზღვრა **409 815** (ოთხას ცხრა ათას რვაას თხუთმეტი) **ლარის ოდენობით;**

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით,** შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება და ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე 58.90 კვ.მ ფართობის N39 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **119 920** (ას ცხრამეტი ათას ცხრაას ოცი) **ლარის ოდენობით;** ქ. თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე 37.70 კვ.მ ფართობის N64 ბინის **108 237** (ას რვა ათას ორას ოცდაჩვიდმეტი) **ლარის ოდენობით** და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე 75.30 კვ.მ ფართობის N77 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **176 880** (ას სამოცდათექვსმეტი ათას რვაას ოთხმოცი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 405 037 ლარი).**

მოხსენების დასკვნით ნაწილში, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორებისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.


გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეჩვიდმეტე საკითხად **განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც **სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-16 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:**

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 (ორი) მშენებარე უძრავი ქონების, კერძოდ: ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე N19 ბინის და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე N335 ბინის **პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზება** მოქალაქე ბორის გვარჯალაძისათვის, **შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:**
- აღნიშნული პირის საკუთრებაში, დაუმთავრებელ შენობა-ნაგებობაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: **ქალაქი თბილისი, ყიფშიძის ქუჩა N5, კორპუსი „ბ“, მე-2 და**



მე-3 ბლოკი, მე-4 სართულზე, 69.40 კვ.მ ფართობის N51 ბინაზე საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა; აღნიშნული უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, მოქალაქე ბორის გვარჯალაძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადებით, გამოთქვა თანხმობა მის საკუთრებად რეგისტრირებულ 69.40 კვ.მ ფართზე საკუთრების უფლება გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და სანაცვლოდ საკუთრებაში მიიღოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ზემოხსენებული უძრავი ქონება. ამავე კორესპონდენციით, მოქალაქე ბორის გვარჯალაძემ, დაადასტურა, რომ არ გააჩნია პრეტენზია მუნიციპალიტეტისათვის დასათმობი ფართისა და მისთვის მისაღები ფართების საბაზრო ღირებულებებთან, აგრეთვე, მათ შორის სხვაობასთან დაკავშირებით.


მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდა ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, შემდეგი სახით:

- **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ნ. ყიფშიძის ქ. №5ბ-ში საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ ფართის საშუალო საბაზრო ღირებულება** თეთრი კარკასის მდგომარეობით არსებობის დაშვებით, როგორც მშენებარე კორპუსში, ასევე - დასრულებულ კორპუსში საბაზრო ღირებულება 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **3 903 ლარს**, ხოლო, ჯამურად **69.40 კვ.მ ბინის ღირებულება შეადგენს - 270 868.2 ათას ლარს;**
- **სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 მაისის დასკვნის მიხედვით, როგორც დასრულებულ კორპუსში, თეთრი კარკასის მდგომარეობის გათვალისწინებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები შეფასებულ იქნა შემდეგი სახით:** ქალაქ თბილისში ზურაბ პატარიძის ქუჩა 3-ში, მე-4 სართულზე, 58.90 კვ.მ ფართობის N19 ბინის საბაზრო ღირებულება შეადგენს - **119 920** (ას ცხრამეტი ათას ცხრაას ოცი) **ლარს;** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N42-ში, მე-16 სართულზე, 66.20 კვ.მ ფართობის N335 ბინის საბაზრო ღირებულება შეადგენს - **146 898** (ას ორმოცდაექვსი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) **ლარს (ჯამურად: 266 818 ლარს).**

მომხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის N24.750.855 განკარგულება, რითაც მოწონებულ იქნა წარმოდგენილი საკითხი და



მიზანშეწონილად იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აგრეთვე, არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის პირველი პუნქტის სტილისტურად, ხოლო მთავრობის განკარგულების ნომრისა და თარიღის ტექნიკურად გამართვის, ასევე უძრავი ქონების ფართების ოდენობების მითითების, თითოეული ბინის შემთხვევაში საპრივატიზებო საფასურის საკითხის დაზუსტების, სიტყვების - „საპრივატიზებო პირობები“ მითითების და ხელშეკრულების პროექტის მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

18. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-17 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე 49.40 კვ.მ. ფართობის N30 ბინის (მშენებარე) და ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე 184.38 კვ.მ. ფართობის N325 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით მოქალაქეების - გივი მეტრეველისა და მანანა მეტრეველისთვის თანასაკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საპრივატიზებო პირობით, რაც გულისხმობს მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს და მათ თანასაკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ზემოხსენებული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემა. ამასთანავე, აღნიშნული განცხადების მიხედვით, ზემოხსენებულ დაინტერესებულ პირებს არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულებასა და მათთვის გადასაცემი ფართების საბაზრო ღირებულებასთან ან მათ შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდა ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, შემდეგი სახით:



- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით;** შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი 122 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **476 166** (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) **ლარის ოდენობით;**
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, **2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით,** შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება და ქ. თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ. N3-ში მდებარე 49.40 კვ.მ ფართობის N30 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **100 578** (ასი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) **ლარის ოდენობით;** ხოლო ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. N42-ში მდებარე 184.38 კვ.მ ფართობის N325 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **375 398** (სამას სამოცდათხუთმეტი ათას სამას ოთხმოცდათვრამეტი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 475976 ლარი).**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.


გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრამეტე საკითხად **განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც **სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-18 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი დონისძიების შეთანხმებას:**

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 (ორი) მშენებარე უძრავი ქონების, კერძოდ: ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე 73.40 კვ.მ N33 ბინის და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე 48.60 კვ.მ N179 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით მოქალაქე ეკატერინა ბოგინისთვის საკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საპრივატიზებო პირობით, რაც გულისხმობს მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.



ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართა და მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 69.40 კვ.მ ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ზემოხსენებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა. ამავე კორესპონდენციით, მოქალაქე ეკატერინე ბოგინამ დაადასტურა, რომ არ გააჩნია პრეტენზია მუნიციპალიტეტისათვის დასათმობი ფართისა და მისთვის მისაღები ფართების საბაზრო ღირებულებებთან, აგრეთვე, მათ, შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, **ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა**, რომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასებულიყო ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება და ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით**; შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი, 69.40 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **270 868.2** (ორას სამოცდაათი ათას რვაას სამოცდარვა ლარი და ოცი თეთრი) **ლარის ოდენობით**;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 მაისის დასკვნის მიხედვით, როგორც დასრულებულ კორპუსში, თეთრი კარკასის მდგომარეობის გათვალისწინებით, **2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები შეფასებულ იქნა შემდეგი სახით**: ქ. თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზ. N24ა-ში მდებარე 73.40 კვ.მ N33 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **172 417** (ას სამოცდათორმეტი ათას ოთხას ჩვიდმეტი) **ლარის ოდენობით** და ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე 48.60 კვ.მ N179 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **95 159** (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ას ორმოცდაცხრამეტი) **ლარის ოდენობით (ჯამურად: 267 576 ლარი)**.


მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით**




მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-19 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე 76.6 კვ.მ. ფართობის N77 და 76.6 კვ.მ. ფართობის N121 ბინების (მშენებარე) და ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე 41.5 კვ.მ. ფართობის N29 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით მოქალაქეების - გურამი მგალობლიშვილის, ზურაბ მგალობლიშვილის, ნინო შარაშენიძის, ნუცა უნგერის და სალომე მგალობლიშვილისთვის თანასაკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საპრივატიზებო პირობით, რაც გულისხმობს მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის უზრუნველყოფას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოხსენებულმა დაინტერესებულმა პირებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს და მათ თანასაკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვეს ზემოხსენებულ უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემა. ამასთანავე, აღნიშნული განცხადების მიხედვით, ზემოხსენებულ დაინტერესებულ პირებს არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულებასა და მათთვის გადასაცემი ფართების საბაზრო ღირებულებასთან ან მათ შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

ირაკლი თავართქილაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდა ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, შემდეგი სახით:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით; შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი 122 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე 76.6 კვ.მ. ფართობის N77 და N121 ბინების საბაზრო ღირებულება თითოეულის შემთხვევაში განისაზღვრა 189 968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის ოდენობით; ხოლო ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე 41.5 კვ.მ. ფართობის N29 ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა



92 628 (ოთხმოცდათორმეტი ათას ექვსას ოცდარვა) ლარის ოდენობით (ჯამურად: 472 564 ლარი).

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდენლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებული პირებისათვის (19 (ცხრამეტი) პირი) პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 სექტემბრის N21.1184.1346 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N393 განკარგულებების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“), ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) /მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ სს „გრინ ქეფიტალს“ (ს/ნ: 405447903) (შემდგომში - „კომპანია“) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103 443 კვ.მ) და 01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფიტალისთვის“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება.

როგორც მომხსენებელმა დასძინა, ზემოხსენებული ხელშეკრულების თანახმად, კოოპერატივის წევრებმა, ზემოაღნიშნული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ



სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ზემოხსენებული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სააგენტოს, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ნაფეტვრები 2021“-სა და კომპანიას შორის 2023 წლის 20 ივნისს გაფორმდა შეთანხმება ზემოთ მითითებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რის საფუძველზეც გაიზარდა მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადები.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 3 მაისის N23.625.709; N23.622.714 და საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205; N206 განკარგულებებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N01.14.06.006.131; N01.14.06.004.002-ის ნაწილი) **საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა (შემდგომში - „გრგ“) და გრგ-ში წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაზუსტდა მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ფართის ოდენობა. კერძოდ, გრგ-თი განისაზღვრა, რომ ჯამში მუნიციპალიტეტს და კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ წევრებს გადაეცემათ 9 689,5 კვ.მ ფართი (საიდანაც 7 550 კვ.მ - კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული წევრებს, ხოლო 2 139 კვ.მ - მუნიციპალიტეტს).**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სააგენტოსა და სს „გრინ ქეფითალს“ შორის 2023 წლის 2 ოქტომბერს **2 219,4** კვ.მ ფართის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმდა უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება (შემდგომში - „მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება“), რომლის საფუძველზეც კომპანიის მიერ **2 219,4** კვ.მ ფართობის შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც მომხსენებელმა განმარტა, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტისთვის გადაცემული მშენებარე ფართის კოოპერატივის წევრებისთვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიერ სახელმწიფო-საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ. შესაბამისად, სააგენტომ დაიწყო კოოპერატივის წევრთა სიის ფორმირება.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, განკარგულების დანართებში გათვალისწინებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა ტერიტორიულობის პრინციპით, სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით, ამასთანავე, ვინაიდან მუნიციპალიტეტს კომპანიის მიერ გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრირებული კონკრეტული ფართობის მშენებარე ბინები, პროექტში მონაწილეობა შეთავაზებულ იქნა სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრებისთვის, ვისაც ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით ეკუთვნოდათ მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დაახლოებით იდენტური ფართი.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ წარმოდგენილი პროექტით კოოპერატივის რამდენიმე წევრს გადაეცემა ზუსტად იმ ფართობის ბინა, რაც უნდა გადასცემოდათ ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებული ინფორმაციის მიხედვით (არაუმეტეს 1 კვ.მ-ით მეტი), შესაბამისად, მათ მიმართ საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება **სიმბოლური თანხის - 1 (ერთი) ლარის გადახდის ვალდებულება,** ხოლო რამდენიმე პირს გადაეცემა ფინანსთა სამინისტროს ბაზაში მითითებულ ფართობზე მეტი ფართი, შესაბამისად, მათ მიმართ



განისაზღვრება საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება, ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების ოდენობით.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, 2024 წლის 4 აპრილის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქ. №61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში მდებარე 1 კვ.მ ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება **2024 წლის 2 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 3 228 ლარით.** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების შესაბამისად, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენა განხორციელდა იმ დაშვებით, რომ ფართი მდებარეობს ექსპლუატაციაში მიღებულ შენობა-ნაგებობაში და მიყვანილია ე.წ „თეთრი კარკასის მდგომარეობაში“.


შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით საკუთრების უფლება ცალკეულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე გადაეცემა ჯამში **13 (ცამეტი) პირს** საპრივატიზებო საფასურით **1 (ერთი) ლარის ოდენობით**, ხოლო **6 (ექვსი) პირს** - ფართებს შორის არსებული სხვაობის საბაზრო ღირებულების ოდენობით.

ირაკლი თავართქილაძემ აქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნული პირები ადასტურებენ, რომ მათ მიერ სრულად იქნება შესრულებული ზემოხსენებული ხელშეკრულებითა და შეთანხმებით განსაზღვრული კოოპერატივის წევრების ვალდებულებები. ასევე, აცხადებენ და ადასტურებენ, რომ გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, გააფორმონ შესაბამისი შეთანხმება ზემოთ მითითებული პირობებით. **შესაბამისად, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის **პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხი**, ამავე განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად განსაზღვრული შეთანხმების პროექტის **საპრივატიზებო პირობებით, ხოლო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარი.**

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ზოგადი სახით იქნას მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის 24.762.847 განკარგულება, პროექტის სათაურში მითითებულ იქნას როგორც პრივატიზების თაობაზე საკითხი, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დანართი N2-ის სახით განსაზღვრული შეთანხმების პროექტის პირობების შეთანხმება, აგრეთვე პროექტის პირველ პუნქტში **მიეთითოს საპრივატიზებო საფასურის მთავრობის განკარგულების შესაბამისი პუნქტით განსაზღვრის**



საკითხი: გარდა ამისა, მითითოს სიტყვები - „ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის“, ნაცვლად სიტყვისა - „პირებისათვის“, ასევე ჩაემატოს სიტყვები: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში“; შეთანხმების მითითების ნაწილში ჩაემატოს სიტყვა „პროექტი“ და სიტყვა „საპრივატიზებო“ და შეთანხმების პროექტის 3.2. პუნქტში მითითებულ იქნას 2.4. პუნქტიც, რომელიც ადგენს კოოპერატივის წევრების ვალდებულებას თანხის გადახდასთან დაკავშირებით;

ამასთანავე, არჩილ გორდულაძემ ისაუბრა მთავრობის განკარგულებით პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხთან ერთად მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების შესათანხმებლად წარმოდგენის მიზანშეწონილობაზეც. ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, **პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით **2023 წლის 3 ოქტომბრიდან 2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით**, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული **16 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება**, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - „**სამშენებლო პროექტი**“), მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური **კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 5.2-ით**, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში **მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 8 350 კვ.მ-თ.**

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა **1 (ერთი) დაინტერესებული პირის განცხადება**, ამასთან, შპს „ნიუ გლდანის“ მიერ




შემოთავაზებული იქნა საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი - **9000 კვ.მ ოდენობის ფართის** (თეთრი კარკასის მდგომარეობით) გადაცემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სააგენტოს 2023 წლის 13 ნოემბრის წერილის საფუძველზე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ნიუ გლდანი".

მომხსენებელმა დასძინა, რომ მოცემულ პროექტში, პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, ხოლო იმ პირთა შორის, ვისაც არ აქვს წარდგენილი სარეიტინგო ქულა, მაგრამ წარდგენილი ჰქონდა სხვა ყველა საჭირო დოკუმენტი, უპირატესობა მიენიჭა ტერიტორიულობის პრინციპით ყველაზე ახლოს მყოფს კოოპერატივის წევრებს. კერძოდ, იმ კოოპერატივის წევრებს, ვისაც, კოოპერატიული მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდათ ავჭალის, ზღვის უბნის და გურამიშვილის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჯამურად, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 118 წევრის დაკმაყოფილებას.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ფართობი, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, რამეთუ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. აგრეთვე, გადასაცემი ფართის ჯამური ფართობის კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 2 კვ.მ-ით, რათა კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართების ჯამურად არ ყოფილიყო 9000 კვ.მ-ზე მეტი.

მომხსენებლისვე მითითებით, განკარგულების დანართით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.


აგრეთვე, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 13 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად წარმოდგენილ იქნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N70-ის მიმდებარედ, კორპუს N2, კორპუს N3 (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი N64) მდებარე, N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა საკუთრებაში გადაეცა ბმა „ფეიქარი-629“-ს, რომელიც წარმოადგენს N629 კოოპერატივის უფლებამონაცვლეს; ასევე ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 10 დეკემბრის N30.16.741 გადაწყვეტილება და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 4 მაისის N09.13.213 გადაწყვეტილება. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ბმა „ფეიქარი-629“-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოადგენს აღნიშნული კოოპერატივის წინაშე ნაკისრი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარულად მიჩნევის წინაპირობას.



როგორც ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, ვინაიდან განკარგულების დანართი N1-ის მე-6, მე-11, მე-12, მე-17, 37-ე, 47-ე, 50-ე, 83-ე პუნქტებით გათვალისწინებული N629 ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს: გულიკო სუბელიანს, მანანა გედევანიშვილს, მაყვალა ქერაშვილს, ნინო ჯაფარიძეს, მაყვალა ხმალაძეს, დავით გოცაძეს, მთვარისა მარკოზიას და იზოლდა გარსევანიშვილს კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება, მათ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც, აღნიშნული პირები, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობენ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მათ კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

ირაკლი თავართქილაძემ უფლებამოსილი ორგანოების პოზიციებთან დაკავშირებით აღნიშნა შემდეგი:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ, 2023 წლის 17 მაისს წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე, N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვის საკითხთან დაკავშირებით ქალაქგეგმარებითი პოზიციის გაცემის თხოვნით;
- სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 18 მაისის წერილით, აღნიშნულ უწყებას შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.72.13.397.002) განკარგვა აღნიშნული მიზნობრიობით – კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილება და შემდგომში მისი სამშენებლო განვითარება სრულად საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) რეგლამენტით, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების (კ2-ის 5,2 –მდე გაზრდა) მიხედვით. აღნიშნული წერილით, ასევე განმარტებულ იქნა რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის, მე-4 პუნქტის „გ.“ ქვეპუნქტის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) საფუძველზე, მითითებული 16 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში; ამასთანავე, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ გავრცელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში;
- სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ 2023 წლის 11 ივლისს წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.72.13.397.002) განკარგვის საკითხთან დაკავშირებით, ასევე, აცნობა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების




შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე (ს/კ: N01.72.13.397.002) ვრცელდება მდინარის წყალდაცვითი ზონა (ქვეტიპი: წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის არეალი) და მასზე განთავსებულია მდინარის კოლექტორი. სააგენტოში წარდგენილია შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2023 წლის 14 ივნისის წერილი, რომლითაც, ასევე, დგინდება, რომ ტერიტორიაზე გაედინება ბუნებრივი ხევი ე.წ. „ხევძმარა“, რომლის გარკვეული მონაკვეთი მოქცეულია რკინა-ბეტონის კოლექტორში, ხოლო დანარჩენი - მიედინება ღიად. ამავე წერილის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, საჭირო გახდება ღია ხევის რკინა-ბეტონის კოლექტორში (BXH-6.0მX4.0მ.) მოქცევა, დაახლოებით 150 მეტრ მანძილზე. ამასთან, ნებისმიერი ძირითადი შენობა-ნაგებობა, არსებული და მოსაწყობი რკინა-ბეტონის კოლექტორიდან (მისი კვეთიდან გამომდინარე) დაშორებული უნდა იქნეს არანაკლებ 10 (ათი) მეტრით.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული წერილის მიხედვით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთზე კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით სამშენებლო პროექტის განხორციელება მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული საკითხია, **თხოვნით მიმართა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში, განხორციელებინა ტერიტორიის დეტალური შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე დათვალიერება და შესაბამისი კვლევ(ებ)ის ჩატარება. ასევე, სააგენტო ითხოვა, ცნობის გაცემა რამდენად შესაძლებელია მდინარის კოლექტორის ისეთ მდგომარეობაში მოყვანა/აღდგენა, რომ ხელი არ შეეშალოს ზემოაღნიშნული სოციალური პროექტის განხორციელებას. ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია ამ მიზნით გასატარებელი საჭირო ღონისძიებების შესახებ.**

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ზემომითითებულ წერილთან დაკავშირებით, შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაცემულ იქნა 2013 წლის 13 ივლისს კორესპონდენცია, სადაც მითითებულ იქნა, რომ კომპანიის სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ს.კ. 01.72.13.397.002-ის ტერიტორია. გაირკვა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება ბუნებრივი ხევი ე.წ. "ხევძმარა" რომლის გარკვეული მონაკვეთი მოქცეულია რკინა-ბეტონის კოლექტორში (BXH-6,0მX4,0მ) ხოლო დანარჩენი მოედინება ღიად. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში საჭირო გახდება ღია ხევის რ/ბეტონის კოლექტორში (BXH-6,0მX4,0მ) მოქცევა, დაახლოებით 150 მეტრ მანძილზე. ამასთან ეცნობა, რომ ნებისმიერი ძირითადი შენობა-ნაგებობა არსებული და მოსაწყობი რ/ბეტონის კოლექტორიდან (მისი კვეთიდან გამომდინარე) დაშორებული უნდა იქნეს არანაკლებ 10 (ათი) მეტრით.

მომხსენებლისვე მითითებით, წარმოდგენილ მასალებს თან ახლავს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის განცხადება **სამშენებლო გამოცდილების საკითხთან დაკავშირებით**, სადაც ასევე მითითებულია აღნიშნული კომპანიის **შზაოზა საპროექტო მიწის ნაკვეთზე 5,2 კოეფიციენტის შემთხვევაში, კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებულები დააკმაყოფილოს ჯამში - 9000 (ცხრა ათასი) კვ.მ. მეტრის საცხოვრებელი ფართით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) და კომპანია „ნიუ გლდანი“-ს სახელზე გაცემული, 2023 წლის პირველი ნოემბრით დათარიღებული საბანკო გარანტია N8393638-12856046, 8 000 000 (რვა მილიონი) ლარის ოდენობით, რაც ძალაშია 2024 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით.**



მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 2 აგვისტოს წერილზე დაყრდნობით, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე 01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დასრულდა ზონის ცვლილების პროცედურები და მიენიჭა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

შემდგომ ირაკლი თავართქილაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მ/წლის 22 მაისის წერილსა და 2019 წელს მომზადებულ „ქ. თბილისის ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების (დარაიონება) რუკის“ ამონარიდზე, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე, N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 16000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთთან მიმართებით, რომლის თანახმადაც აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გეოლოგიური საფრთხეების ზონირება არის მაღალი. მითითებული კორესპონდენციის თანახმად, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შეფასებით:

- „იმ შემთხვევაში თუ გადაწყდება აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტებით, სამშენებლო მოედნებზე საჭირო გახდება დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების ჩატარება, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების სრული დაცვით“.

მომხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე საკითხი, სათანადო ხელშეკრულების პროექტის პირობების გათვალისწინებით.


აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიციაზე და ზემომხსენებულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმების და წესების სრული დაცვით; აგრეთვე ხაზი გაუსვა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობას ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.

ამ კონტექსტში, არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტში აისახოს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 22 მაისის წერილით წარმოდგენილი პოზიცია, აგრეთვე ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებულ, სამართლებრივი, სტილისტური და ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



მოისმინეს:

23. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N3-ში, მე-6 სართულზე, მე-10 ბლოკში მდებარე, 54.59 კვ.მ ფართობის N302 ბინის (მშენებარე) სესილი შათაშვილის უფლებამონაცვლე ცოტნე დუნდუასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა საკითხის წარდგენა ერთგვარი ისტორიული ექსკურსით დაიწყო და მიმოიხილა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო აღნიშნული განკარგულების პროექტის შემუშავებას; კერძოდ:


ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 გადაწყვეტილებებით, ლ. თაბუკაშვილის ქუჩა №7,9,11,11ა,16,18,19-ში მდებარე, ე.წ. „ბარაკული“ ტიპის საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები ოჯახებისთვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, ჩამოყალიბდა **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი - 88“ (შემდგომში - „ამხანაგობა“)**, რომლის საკუთრებად დარეგისტრირდა აღნიშნულ მისამართზე მდებარე 10 535 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი. თუმცა, ამხანაგობის მხრიდან ვერ მოხერხდა ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება.

მოგვიანებით, 2004 წლის 15 აგვისტოს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფსა“ და ამხანაგობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც, აღნიშნული კომპანია მთლიანი სამშენებლო კომპლექსის ფარგლებში უზრუნველყოფდა მშენებლობის დასრულებას, სარეალიზაციო ფართის ნაწილის - 7250 კვ.მ. საცხოვრებელი და 100 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის გადაცემას, ამხანაგობის წევრთა მიმართ ფართის სახით გასაცემი ვალდებულების შესასრულებლად. თუმცა, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მხრიდან აღნიშნული ვალდებულებები ვერ შესრულდა.

მომხსენებლისვე მითითებით, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მრავალრიცხოვნების (სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით: 114 პირი), გასული დროისა და შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, **ამხანაგობა სამართლებრივი პრობლემის წინაშე იდგა, ვინაიდან იურიდიულად გამართული და სარეგისტრაციოდ ვარგისი დოკუმენტის შედგენა შეუძლებელი გახლდათ.**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ **გასცა დადებითი რეკომენდაციები** შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, რომლის საფუძველზეც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2021 წლის 18 აგვისტოს მიიღო განკარგულება, რომლითაც გაუქმდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს



აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები ქალაქ თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა (2 184 კვ.მ) და ქალაქ თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (8 351 კვ.მ). ამასთანავე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ინდივიდუალური საკუთრების უფლებები დარჩა უცვლელი.

➤ ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა - ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებზე და ისეთ ფართებზე, რომლებზეც ინდივიდუალური საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ გახლდათ, ამხანაგობის საკუთრების უფლების გაუქმებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით მიემართა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთვის, რომელსაც თავის მხრივ, უნდა განეხორციელებინა აღნიშნული სამართლებრივი პროცედურები.

მომხსენებლისვე მითითებით, ქ. თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დამფუძნებელი წევრებს წარმოადგენდა სულ - 148 პირი; დაზარალებულ პირად აღიარებულია 84 ფიზიკური პირი; არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, ამ ეტაპზე დასაკმაყოფილებელია 56 ფიზიკური პირი;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, მისამართზე: ყიული შარტავას ქუჩა N3 ჯამურად დადასტურდა საცხოვრებელი ფუნქციის მქონე ფართის სახით გასაცემი ვალდებულება ჯამურად - 5650 კვ.მ.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 ივნისის განკარგულების N3 დანართით გათვალისწინებულია ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დაზარალებულ და ფართის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა (ან კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ უფლებამონაცვლე/უფლებამოსილ პირთა) სია, რომელთა მიმართ განსაზღვრულია ფართის სახით გასაცემი ვალდებულება და მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული), საკუთრებაში გადასაცემი ფართები.


მომხსენებლისვე მითითებით, ზემოაღნიშნული დანართით გათვალისწინებულ პირთა შორის განსაზღვრულია სესილი შათაშვილი, რომლის მიმართაც საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი ფართი მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ყიული შარტავას ქ. N3-ში. სესილი შათაშვილმა ზემოაღნიშნული მოთხოვნა დაუთმო ცოტნე დუნდუას. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლება გადაეცემა ცოტნე დუნდუას.

მოსხენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ცოტნე დუნდუასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების, ასევე პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოხსენეს:

24. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის 23-ე საკითხისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი ღონისძიების შეთანხმებას:

- ქ. თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N3-ში, პირველ სართულზე, მე-10 ბლოკში მდებარე 40.54 კვ.მ ფართობის N254 ბინის (მშენებარე) ნოდარ ხრიკულის უფლებამონაცვლე თამარ ბელქანიასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემას.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 ივნისის განკარგულების „მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას 1. N1 (ს/კ: N01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ: N01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „ინსის“ (ს/ნ 206278516) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე) N3 დანართით გათვალისწინებულია ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დაზარალებულ და ფართის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა (ან კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ უფლებამონაცვლე/უფლებამოსილ პირთა) სია, რომელთა მიმართ განსაზღვრულია ფართის სახით გასაცემი ვალდებულება და მათთვის საკუთრებაში გადასაცემი ფართები.


მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული დანართით გათვალისწინებულ პირთა შორის განსაზღვრულია ნოდარ ხრიკული, რომლის მიმართაც საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი ფართი მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ყიული შარტავას ქ. N3. ნოდარ ხრიკულმა ზემოაღნიშნული მოთხოვნა დაუთმო თამარ ბელქანიას; შესაბამისად, ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლება გადაეცემა თამარ ბელქანიას.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ შეჯამების სახით დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების თამარ ბელქანიასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების, ასევე პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვისა და მისი შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:


25. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N11-ში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ფალიაშვილის 11“-ის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 11 ოქტომბერს განცხადებით მიმართა შპს „ფალიაშვილის 11“-მა, ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N11-ში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით და წარადგინა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით“ ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლებისთვის გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ნინო ბაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე შენობის დაზიანებები 2022 წლის 26 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, IV ხარისხისაა, შენობის გამაგრება არარენტაბელურია, მიზანშეწონილია მისი დემონტაჟი და არსებული მდგომარეობით შენობის ექსპლუატაცია დაუშვებელია. ამასთანავე, **მომხსენებელმა დასძინა**, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

როგორც ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, შპს „ფალიაშვილის 11“-ის მიერ ფართის სახით გასაცემი ვალდებულებაა - 1 179.44 კვ.მ და **ხაზი გაუსვა იმ გარემოებას**, რომ ზემოხსენებული საკადასტრო ერთეული ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებელი ზონა 6-თვის (სზ-6) კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ პარამეტრს (სიღრმე). **შესაბამისად, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება საჭიროებს დამატებით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას**, რაც გულისხმობს ნაკვეთისთვის ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭებას.

მოხსენების დასასრულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით მისამართზე: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N11-ში მიმართებით, განისაზღვრება შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:



- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 2.5-დან 9.6-მდე;
- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) გადამეტება 0.5-დან 0.9-მდე;
- უქმდება მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური პარამეტრის დაცვის ვალდებულება;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდება სატრანსპორტო ზეგავლენის შეფასების წარმოდგენის გარეშე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდება ავტოსადგომების რაოდენობასთან არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;
- მიწის ნაკვეთს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დაუდგინდება ინდივიდუალური პარამეტრები.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართვისა და მისი სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით**, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მ/რ, კორპუსი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1 953 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საკითხთან დაკავშირებულ როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 8 აპრილის განცხადებით, დაინტერესებულმა პირმა მის საკუთრებაში არსებულ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.5), გამოხატა მზაობა მავომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის ბრძანებებით დადგენილია მიწის



ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი; საპროექტო მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ხოლო მცირე ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ამასთანავე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 18 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 560 780 ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 22 აპრილის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 624 312 (ექვსას ოცდაოთხი ათას სამას თორმეტი) ლარს.


ნინო ბაგაშვილის განმარტებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს 2 (ორი) სართულის დამატებას - 7 (შვიდი) სართულიდან 9 (ცხრა) სართულამდე. ამასთან, გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე** საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 624 312 (ექვსას ოცდაოთხი ათას სამას თორმეტი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს ზემოაღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიღების თარიღისა და შესაბამისი ნომრის სწორად მითითების, ასევე პროექტის მე-6 მუხლის ტექნიკურად გამართვისა და მისი სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.



გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


მოისმინეს:

27. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით**, მისამართზე - ქ. თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქ. თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქ. თბილისი, ვ. ივერიელის (საბადურის) ქ. N25ა; ქ. თბილისი, ვაჟა ივერიელის ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 2348 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებულმა პირმა მის საკუთრებაში არსებულ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.9), გამოხატა მზაობა მავომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

ნინო ბაგაშვილმა აქვე დასძინა, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ)** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით **დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით**. ამასთანავე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 163 781 (სამი მილიონ ას სამოცდასამი ათას შვიდას ოთხმოცდაერთი) ლარს**, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 7 მარტის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.9-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 771 717.36 (ერთი მილიონ შვიდას სამოცდათერთმეტი ათას შვიდას ჩვიდმეტი და ოცდათექვსმეტი მეთასედი) ლარს.**

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით, მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.9-მდე რაც გულისხმობს 10 სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე მოთხოვნილია დამატებულ მოცულობაზე,



სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, **შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების** განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 2.5-დან 3.9-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 1 771 717.36 (ერთი მილიონ შვიდას სამოცდათერთმეტი ათას შვიდას ჩვიდმეტი და ოცდათექვსმეტი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა. ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:


არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 მუხლის ტექნიკურად გამართვისა და მისი სათანადო რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

